ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის
სხდომის ოქმი N8

ქ. ლანჩხუთი

22.12.2026 წელი
16:00 საათი.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის თავმჯდომარე **გიორგი იმნაიშვილი.**
კომისიის წევრები: თენგიზ ურუშაძე, ვარლამ ჩხარტიშვილი, ია მოქია, ლოლიტა ურუშაძე, გიორგი ჩახვაძე, ბესიკ კვაჭანტირაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, თორნიკე მითაიშვილი, ელისო ჭიჭინაძე.
მოწვეული სტუმარი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე.** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

3. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე ; წინააღმდეგი .

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ 2026-2029 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ინფრასტრუქტურის განვითარება;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

2025 წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები დაგეგმილია 56006,0 ათ. ლარი. მათ შორის გადასახადები 16600,3 ათ. ლარი, გრანტები 34967.9 ათ. ლარი, სხვა შემოსავლები 4437,8 ათ. ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი 248,4 ათ. ლარი. 2025 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი 7147,6 ათ.ლარიდან დაფინანსდება გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სპორტული დარბაზის და სტადიონების მშენებლობაზე. გარდა ამისა, სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებიდან 19827,6 ათ. ლარიდან განხორციელდება შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია და ნაპირსამაგრის მოწყობა, სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება, როგორც ინფრასტრუქტურული სამუშაოებით ასევე ფულადი კომპანსაციით. ასევე გადახდილი იქნება შეძენილი ავტობუსების შეძენის ღირებულების ნაწილი 206,1 ათ ლარი. 1157,8 ათ ლარი გაიხარჯება მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხელშეწყობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2025 წელს განსახორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები: დასრულდება ყველა ის სამუშაოები რომელიც დაიწყო 2024 წელს ასევე განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზარალებული ობიექტების რეაბილიტაცია სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობაზე სახლის სახურავების რეაბილიტაცია და კომპენსაციის გაცემა.

2026 წელს ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 4599000 ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 3275000 ლარი; განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 5560000 ლარი; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 5525300 ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 1855000 ლარი.

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ არაერთხელ დააყენა საკითხი ქ. ლანჩხუთში საკანალიზაციო სისტემის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების აუცილებლობის თაობაზე. მისი თქმით, სასურველია პრიორიტეტის დოკუმენტში გათვალისწინებული იქნას შესაბამისი დაფინანსება.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები 2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 8, წინააღმდეგი 2 (ჯუმბერ ბლაგიძე, თორნიკე მითაიშვილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 118000 ლარით და განისაზღვრა 22074400 ლარით, გადასახადები განსაზღვრულია 18376400 ლარით, გრანტები-486000 ლარით, სხვა შემოსავლები-3212000 ლარით, ხარჯები-23665100 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 3758600 ლარით, ბიუჯეტის მთლიანი სალდო-5455900 ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 1709100 ლარით, ფინანსური აქტივების ცვლილება-5485000 ლარით. ფინანსური აქტივების კლება 5485000 ლარის ოდენობით წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე მოსალოდნელ თავისუფალ ნაშთს, რომლის გამოყენებაც მოხდება 2026 წლის განმავლობაში. 2026 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სასესხო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 29100 ლარს.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 4599000 ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 3275000 ლარი; განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 5560000 ლარი; კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 5525300 ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 1855000 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები 2026 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
მომხრე 8, წინააღმდეგი 2 (ჯუმბერ ბლაგიძე, თორნიკე მითაიშვილი)

3. სხვადასხვა.

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ უკმაყოფილება გამოხატა, სოფელ ტაბანათში მშენებარე მინის სტადიონის ადგილმდებარეობის გამო. მისი თქმით, აღნიშნული სტადიონი საავტომობილო გზასთან არის ძალიან ახლოს და საფრთხის შემცველია, რაზეც **დეპუტატმა ია მოქიამ** განმარტა, რომ ვინაიდან სუფსაში არ არსებობდა ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონი, სოფელ ტაბანათის ახალგაზრდებმა წინადადებით მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას სტადიონის მოწყობის შესახებ. მიღწეულ იქნა შეთანხმება იმ ტერიტორიაზე, რომელიც არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. რაც შეეხება ტრანსპორტის პარკინგს და ქვეითთა გადასასვლელს მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა, გარდა ამისა, ფინანსების არსებობის შემთხვევაში, ვფიქრობთ ახალგაზრდებისთვის კიდევ უფრო ლამაზი სივრცის მოწყობას.

დეპუტატმა ლოლიტა ურუშაძემ აღნიშნა, რომ 2024-2025წწ სასწავლო წელს მოსწავლეების ტრანსპორტირებას ახორციელებს კომპანია რომელმაც გაიმარჯვა შესაბამის ტენდერში. გვსურს გაცნობოთ, რომ აღნიშნული კომპანიის მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებები იმყოფება მძიმე ტექნიკურ მდგომარეობაში:
გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა (ძველი და ცვეთილი საბურავები);(სალონში არსებული ანტისანიტარია ან დაზიანებული სავარძლები).
მიმაჩნია, რომ აღნიშნული მდგომარეობა პირდაპირ საფრთხეს უქმნის ჩვენი მოსწავლეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. გარდა ამისა, ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტით მომსახურება წარმოადგენს სატენდერო პირობებისა და ხელშეკრულების უხეშ დარღვევას. გთხოვთ, ამ საკითხს მიექცეს სათანადო ყურადღება.
ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო მერს, ბატონ ალექსანდრე სარიშვილს, რათა მან მხარი დაუჭირა ინიციატივას თვალის ბადურის სამკურნალო მედიკამენტის(ავასტინის) დაფინანსების პროგრამას. ის გახლავთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრეპარატი, რომლის მაღალი ღირებულება ხშირად წარმოადგენს მკურნალობის შეწყვეტის მიზეზს, რაც შეუქცევად შედეგებს იწვევს.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ უსახური შენობა ნაგებობები, რომელის ეკონომიკის ბალანზეა გადმოგვცეს ლანჩხუთს შემდგომი მოწესრიგებისთვი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განსაზღვრულია 1855000 ლარი.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები 2026 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტთან დაკავშირებით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
მომხრე 8, წინააღმდეგი 2 (ჯუმბერ ბლაგიძე, თორნიკე მითაიშვილი)

3. სხვადასხვა.

დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ უკმაყოფილება გამოხატა, სოფელ ტაბანათში მშენებარე მინის სტადიონის ადგილმდებარეობის გამო. მისი თქმით, აღნიშნული სტადიონი საავტომობილო გზასთან არის ძალიან ახლოს და საფრთხის შემცველია, რაზეც **დეპუტატმა ია მოქიამ** განმარტა, რომ ვინაიდან, სუფსაში არ არსებობდა ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონი, სოფელ ტაბანათის ახალგაზრდებმა წინადადებით მიმართეს ადგილობრივ ხელისუფლებას სტადიონის მოწყობის შესახებ. მიღწეულ იქნა შეთანხმება იმ ტერიტორიაზე, რომელიც არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. რაც შეეხება ტრანსპორტის პარკინგს და ქვეითთა გადასასვლელს მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყობა, გარდა ამისა, ფინანსების არსებობის შემთხვევაში, ვფიქრობთ ახალგაზრდებისთვის კიდევ უფრო ლამაზი სივრცის მოწყობას.

დეპუტატმა ლოლიტა ურუშაძემ აღნიშნა, რომ 2024-2025წწ სასწავლო წელს მოსწავლეების ტრანსპორტირებას ახორციელებს კომპანია რომელმაც გაიმარჯვა შესაბამის ტენდერში. გვსურს გაცნობოთ, რომ აღნიშნული კომპანიის მფლობელობაში არსებული სატრანსპორტო საშუალებები იმყოფება მძიმე ტექნიკურ მდგომარეობაში:
გაუმართავი სამუხრუჭე სისტემა (ძველი და ცვეთილი საბურავები);(სალონში არსებული ანტისანიტარია ან დაზიანებული სავარძლები).
მიმაჩნია, რომ აღნიშნული მდგომარეობა პირდაპირ საფრთხეს უქმნის ჩვენი მოსწავლეების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. გარდა ამისა, ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტით მომსახურება წარმოადგენს სატენდერო პირობებისა და ხელშეკრულების უხეშ დარღვევას. გთხოვთ, ამ საკითხს მიექცეს სათანადო ყურადღება.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო მერს, ბატონ ალექსანდრე სარიშვილს, რათა მან მხარი დაუჭირა ინიციატივას თვალის ბადურის სამკურნალო მედიკამენტის(ავასტინის) დაფინანსების პროგრამას. ის გახლავთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრეპარატი, რომლის მაღალი ღირებულება ხშირად წარმოადგენს მკურნალობის შეწყვეტის მიზეზს, რაც შეუქცევად შედეგებს იწვევს.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ აღნიშნა, რომ უსახური შენობა ნაგებობები, რომელის ეკონომიკის ბალანზეა გადმოგვცეს ლანჩხუთს შემდგომი მოწესრიგებისთვი.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: **/გიორგი იმნაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 lanCxuTi, kostavas 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N8

ქ. ლანჩხუთი

22.12.2025 წ.

2025 წლის 22 დეკემბერს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 -2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

3. სხვადასხვა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოდგენილი სახით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

22.12.2025 წელი
16:00 საათზე.

N	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	16 : 00	
2.	თენგიზ ურუშაძე	16 : 00	
3.	ია მოქია	16:00	
4.	ელისო ჭიჭინაძე	16	
5.	ვარლამ ჩხარტიშვილი	16 : 00	
6.	ლოლიტა ურუშაძე	16 : 00	
7.	ზაზა წულაძე	ახ ესწრებოდა	
8.	გელა პატეიშვილი	ახ ესწრებოდა	
9.	ბესიკ კვაჭანტირაძე	16:00	
10	გოგი მორჩილაძე	ახ ესწრებოდა	
11	გიორგი ჩახვაძე	16 : 00	
12	ჯუმბერ ბლაგიძე	15:50	
13	თორნიკე მითაიშვილი	16 : 00	